ბრძანება:**ბ78. 76252961**
თარიღი:**23/10/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით ჟიურის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52–ე, 54-ე მუხლების; ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი''-ს წესდების მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის 5.3.9 ქვეპუნქტისა და ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის N: ბ78.76251762 ბრძანების, პროექტ ,,მწიგნობარი 2025“ -ის საორგანიზაციო ჯგუფის ოქმი N 2 17.10.2025 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით შეიქმნას ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

1.1. გიორგი ხორბალაძე - ფილოლოგიის დოქტორი, გორის უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი.

1,2. თამარ გელიტაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

1.3. გიორგი საბანაძე - ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის გამგე - ისტორიკოსი

1.4. ბადრი სულაძე - ეთნოგრაფი, პოეტი.

1.5. ქეთევან დოლიძე - ფილოლოგი. პოეტი

1.6. გიორგი არაბული - დრამატურგი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, პოეტი - ნოველისტი.

1.7. ნინო გედენიძე - ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი

სპეციალისტი.

2. ჟიურის თავმჯდომარის ფინანსური ანაზღაურება განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარით, წევრების - 300(სამასი) ლარით.

3. ჟიურის წევრებს დაევალოთ ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ - ში მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების შესწავლა და შეფასება.

4. ჟიურის წვრებმა იხელმძღვანელონ ლიტერატურული კონკურსი ,,მწიგნობარი 2025'' პროგრამისა და დებულების შესაბამისად

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ერთჯერადად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შემდგომ ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13)

6.ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თამაზ დაუშვილი

ამბროლაურის კულტურის ცენტრი-დირექტორი